30

საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 66/00 „22" ოქტომბერი 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ი. ქურციკ. ილია გოცირიძე
„22" ოქტომბერი 2010 წელი

ეგზ.N2

შპს „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭოს" საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის გასვლითი თემატური აუდიტის შედეგების შესახებ

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი ..... გვ. 2

ნაწილი II – აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები ..... გვ. 3

ნაწილი III – ძირითადი ტექსტი გვ.4

ნაწილი IV - აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი გვ.22

1. საწარმოს შექმნის სამართლებრივი საფუძველები და საქმიანობა ..... გვ. 4
2. მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა ..... გვ. 6
3. გაწეული ხარჯების მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა ..... გვ. 12

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

4. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა ..... გვ. 16
5. გრძელვადიანი აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვისა და განკარგვის მდგომარეობა ..... გვ. 17
6. ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან ..... გვ. 20
7. შესწავლილი იქნას საწარმოს წილობრივი მონაწილეობით შვილობილი საწარმოს (იურიდიული პირის) შექმნის სამართლებრივი საფუძვლები....გვ. 21
8. აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები ..... გვ. 22

ნაწილი I -შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 25 მაისის № 59/43 ბრძანება.

აუდიტის ობიექტი - შპს „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭოს" იურიდიული მისამართი: ზაჰესის დასახლება, ავჭალის გზატკეცილი №43.

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი.

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი თენგიზ ბაზაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), აუდიტორ-ასისტენტი შალვა ჯავახიშვილი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა ერთობლივად.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

აუდიტის ვადა - 27.05.10--15.06.10 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:

შპს "მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭო"---------- საბჭო

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები --- ბასს

სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო" ---------- სააგენტო

შემოსავლის ორდერი ----------შ/ო

ავტომანქანა ----------ა/მ

კვადრატული მეტრი ----------კვ. მ.

ლარი ---------- ლ.

ნაწილი II – აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. 2006 წელს შპს „აუდიტ-რეფორმატორის" მიერ ზაჰესში 30600 კვ.მ მიწის ნაკვეთის ნაცვლად შეფასებულია 3060 კვ.მ, ანუ 10-ჯერ ნაკლები ფართი. გვ.5

2. საბჭოს დაევალა, რომ უზრუნველყო „ქონების იჯარით გადაცემა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად", ხოლო იჯარიდან მიღებული თანხები უნდა მოხმარებოდა წარმოების განვითარებასა და კრედიტორული დავალიანებების გასტუმრებას. ფაქტობრივად თანხა, კერძოდ-30566 ლარი 2008-2009 წლებში მოხმარდა: ხელფასების გაცემას, დენის გადასახადს და კრედიტორული დავალიანების გასტუმრებას, ხოლო წარმოების განვითარებაზე თანხა არ დახარჯულა..... გვ.6

3. საბჭოს მიერ სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემა კონკურსით/აუქციონით არ განხორციელებულა..... გვ.7

4. 2008 წელს არ გაფორმებულა საიჯარო ხელშეკრულებები არცერთ მოიჯარესთან..... გვ.7

5. 2008 წელს 900 კვ.მ ფართის ნაცვლად იჯარით გაიცა 1038 კვ.მ, ხოლო 2009 წელს 1118 კვ.მ გვ.7

6. 2009 წლის თებერვალში ამოიწურა სააგენტოს მიერ მიცემული იჯარით გაცემის ერთწლიანი ვადა, ამდენად 2009 წლის მარტიდან საბჭოს ან უნდა შეეწყვიტა იჯარით გაცემა, ან უნდა მიეღო ახალი ნებართვა, რაც არ განხორციელებულა... გვ. 7

7. აუდიტის დაწყების დღეს საბჭოს ტერიტორიაზე ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაკავებული ჰქონდა ფართები 7 მოიჯარეს, რომელთაგან მხოლოდ ერთი- შპს „ბიობლოკი" განაგრძობდა ფუნქციონირებას გვ.7

8. წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით გაირკვა, რომ საბჭოს მიერ შემოსავლების აღრიცხვა ხორციელდებოდა არა დარიცხვის, არამედ საკასო მეთოდით..... გვ.8

9. 2009 წელს გაფორმებული სამივე საიჯარო ხელშეკრულების თანახმად მოიჯარის მიერ დახარჯული დენის გადასახადი უნდა გადაეხადათ თვითონ მოიჯარეებს. ფაქტობრივად გადახდილია საბჭოს კუთვნილი თანხებიდან, რითაც ხელოვნურადაა გაზრდილი მისი ხარჯები გვ.12

10. საბჭოს არ აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი. ასევე არ აქვს თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. წარმოდგენილი

ხელფასის უწყისების მიხედვით, თანამშრომელთა ხელფასის განაკვეთები, ხშირად იცვლებოდა (იზრდებოდა ან მცირდებოდა), ამასთან არ არსებობს დირექტორის ბრძანებები საშტატო განრიგის ცვლილებების შესახებ გვ.14

11. აუდიტის პერიოდში საბჭოს მიერ ხელფასებზე დარიცხულია საშემოსავლო გადასახადი 5152.5 ლარის ოდენობით, მაგრამ არაა ჩარიცხული ბიუჯეტში ..... გვ. 16

12. 2009 წელს ბალანსიდან ჩამოწერილი 30 ერთეული ძირითადი აქტივიდან ჯართის სახით რეალიზებულია მხოლოდ 16 ერთეული. დარჩენილი 14 ერთეული-დან მხოლოდ 4 ერთეულია ადგილზე. ჯართის რეალიზაცია არ განხორციელებულა კონკურსის/აუქციონის წესით გვ.17

13. აბსოლუტურად უკონტროლოდაა მიტოვებული რაიონებში არსებული ძირითადი აქტივები გვ.18

14. ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა 17 დასახელების ძირითადი აქტივების დანაკლისი საწყისი ღირებულებით ჯამში-10201 ლარი და სასაქონლო მატერიალური ფასეულობის დანაკლისი 110046 ლარის ოდენობით გვ.18

15. 2008 და 2009 წლების ბიზნეს-გეგმებში საბჭოს მიერ გათვალისწინებულია 106000 ლარის ოდენობით შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, რაც არარეალურად მიგვაჩნია, ვინაიდან ჯერ ერთი მარტო შენობების იჯარით გაცემა არსებულ პირობებში იძლევა მაქსიმუმ 40000 ლარამდე შემოსავლის მიღების საშუალებას, მეორეც ბიზნეს-გეგმებს არ ახლავს შესაბამისი გაანგარიშებები და ახსნა-განმარტება, თუ საიდან შეიძლება მიეღოთ დანარჩენი შემოსავალი ..... გვ. 20

ნაწილი III –ძირითადი ტექსტი

1. **საწარმოს შექმნის სამართლებრივი საფუძვლები და საქმიანობა;**

შ.პ.ს „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭო“ დაფუძნებულია საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 2002 წლის 21 ნოემბრის №1-3/861 ბრძანებით, სამი საწარმოს შერწყმის საფუძველზე, ესენია: მცხეთის რაიონის (ამჟამად ეკუთვნის თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონს) შპს

„ქართული ფუტკარი“, ხარაგაულის რაიონის შპს „ქართული ფუტკარი“ და ჩხოროწყუს რაიონის შპს „მუხურის სანაშენე რეპროდუქტორი“.

საბჭოს წილის 100%-ის მფლობელია სახელმწიფო, რომლის უფლებამოსილებებს ახორციელებს სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“.

წესდების მიხედვით საბჭოს საქმიანობის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა: მეფუტკრეობის, კერძოდ „ქართული ფუტკრის“ აღორძინება, გამრავლება და განვითარება. მეფუტკრეობის პროდუქტებისა და მეფუტკრეობაში გამოსაყენებელი ინვენტარისა და სხვა საშუალებების წარმოება, დამზადება, ექსპორტი, იმპორტი და რეალიზაცია.

სააგენტოს 2006 წლის 12 ივნისის № 1-3/403 ბრძანებით საბჭოს საწესდებო კაპიტალში, შპს „აუდიტ-რეფორმატორის“ დასკვნის საფუძველზე, შეტანილი იქნა საწარმოს ბალანსზე რიცხული შენობა - ნაგებობებზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები: ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში - 7800 კვ.მ, წალენჯიხის რაიონის სოფელ სქურში-120 კვ.მ. (აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე ძირითადი აქტივი-სტაციონალური საფუტკრე სახლი, თავიდან აღირიცხებოდა ჩხოროწყუს რაიონის ბალანსზე), ხარაგაულის რაიონის სოფელ ლაშეში-3407 კვ.მ. და მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესში-3060 კვ.მ ფართი. სულ 14387 კვ.მ, ღირებულებით 54511.27 ლარი.

აუდიტორულ დასკვნაში დაშვებულია ერთი მნიშვნელოვანი უზუსტობა, რაც აისახა სააგენტოს ზემოაღნიშნულ ბრძანებაშიც, კერძოდ ზაჰესის ტერიტორიის ფართი აღებულია 3060 კვ.მ. ნაცვალად 30600 კვ.მეტრისა, ანუ 10-ჯერ ნაკლები და ღირებულებაც ნაცვლად 92534.4 ლარისა ასევე 10-ჯერ ნაკლებად, 9253.4 ლარად არის შეფასებული.

აღნიშნულის შედეგად საწესდებო კაპიტალი 2008 წლის 1 იანვრისათვის განისაზღვრა 286081 ლარის ოდენობით.

2008 წლის 28 მაისის აუდიტორული დასკვნით, შპს „აუდიტესკორტის“, მიერ განხორციელდა საბჭოს სათაო ოფისის კუთვნილი ზაჰესის ტერიტორიის ნაწილის 27540 კვ.მ. ფართის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ღირებულების შეფასება. ამის შემდეგ საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 826200 ლარით და შეადგინა 1112281.3 ლარი.

ამ შემთხვევაში შეუფასებელი დარჩა ზემოაღნიშნული 3060 კვ. მ ფართი, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია მითუმეტეს, რომ წინა შეფასებისას მიწის ეს ნაწილი

რეალურ ფასთან შედარებით შეფასებული იყო 10-ჯერ უფრო ნაკლები კოეფიციენტით, კერძოდ 1 კვ.მ. ფასი იყო 3 ლარი (2008 წლამდე საბჭოს სათაო ოფისის ტერიტორია ეკუთვნოდა მცხეთის რაიონს, ხოლო 2008 წლიდან - გადაეცა ქ. თბილისს), ხოლო 2008 წლიდან 1 კვ.მ. მიწის ფასი გახდა 30 ლარი (იხ. შპს „აუდიტესკორტის" 28.05.2008 წლის დასკვნა).

აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მთლიანად გადაფასებული იქნას სათაო ოფისის კუთვნილი 30600 კვ.მ. ფართის ტერიტორია.

2005 წელს რეგისტრირებული წესდების თანახმად საბჭოს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი რუსთაველის გამზირი № 29. ფაქტობრივი: ქ. თბილისი ავჭალის გზატკეცილი № 43.

რეკომენდაცია:

დადგენილი წესის თანახმად განხორციელდეს სათაო ოფისის (ზაჰესის დასახლებაში მდებარე) კუთვნილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეფასება, რომლის საფუძველზეც შევიდეს შესაბამისი ცვლილება საწესდებო კაპიტალშიც.

2. მიღებული შემოსავლების აღრიცხვის მდგომარეობა;

2008-2009 წლებში საბჭოს არ შეუსრულებია წესდებით განსაზღვრული ფუნქციები. ამ პერიოდში შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა ქონების იჯარით გაცემა. გარდა ამისა 2009 წელს 770 ლარის ოდენობით შემოსავალი მიღებულია ჯართის ჩაბარებიდან.

„სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის, განკარგვისა და გადაცემის, ამ საწარმოთა ლიკვიდაციის საკითხების განმხილველი" კომისიის 2008 წლის 15 თებერვლის სხდომის №4 საოქმო გადაწყვეტილებით გაიცა თანხმობა საწარმოს მიერ 900 კვ.მ. ფართის შენობების იჯარით გაცემაზე ერთი წლის ვადით, ამავე დროს დადგინდა საწყისი საიჯარო ქირის ოდენობა - 2.5 ლარი თვეში (დღგ-ს გარეშე).

ამავე გადაწყვეტილებით საბჭოს დაევალა, რომ უზრუნველეყო „ქონების იჯარით გადაცემა არსებული კანონმდებლობის შესაბამისად“, ხოლო იჯარიდან მიღებული შემოსავალი მიემართა წარმოების განვითარებასა და კრედიტორული დავალიანებების გასტუმრებაზე. ფაქტობრივად აუდიტის პერიოდში იჯარიდან მიღებულია 36728 ლარი, საიდანაც 30556 ლარი მოხმარდა ხელფასების გაცემას, დენის გადასახადს და კრედიტორული დავალიანების გასტუმრებას, ხოლო წარმოების განვითარებაზე თანხა არ დახარჯულა (6172ლ. დარჩა გაუხარჯავი).

საწარმოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით იჯარიდან პირველი შემოსავალი მიღებულია 2008 წლის აპრილში.

აუდიტის შედეგად დაფიქსირდა კანონმდებლობასთან რიგი ისეთი შეუსაბამობა, რომლებიც მიუთითებენ ამ საკითხში არსებული კონტროლის მაღალ რისკებზე, კერძოდ:

საბჭოს მიერ სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემა კონკურსით/აუქციონით არ განხორციელებულა.[1]

2008 წელს არ გაფორმებულა საიჯარო ხელშეკრულებები არცერთ მოიჯარესთან.[2]

2008 წელს 900 კვ.მ ფართის ნაცვლად იჯარით გაიცა 1038 კვ.მ, ანუ 138 კვ.მ. მეტი ფართი.

2009 წლის თებერვალში ამოიწურა სააგენტოს მიერ მიცემული ერთწლიანი ვადა, ამდენად 2009 წლის მარტიდან საბჭოს ან უნდა შეეწყვიტა იჯარით გაცემა, ან უნდა მიეღო ახალი ნებართვა, რაც არ განხორციელებულა და ამის ნაცვლად 2009წ. დაიდო შემდეგი ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულებები: 1 მარტიდან ი.მ. „ბაკურ მახარაძე“- 161 კვ.მ (1კვ.მ. ფასი-2.5ლ): 1 აპრილიდან ი.მ. „მეჰმედ აიდინი“ – 490 კვ.მ. (1 კვ.მ.-3ლ.) და 1 აგვისტოდან ი.მ. „ზაზა გულიაშვილი“- 130 კვ.მ. (1 კვ.მ.-.5ლ.).გარდა ამისა 2009 წელს ხელშეკრულების გარეშე კიდევ 4 ორგანიზაციაზე გაიცა იჯარით ფართი. სულ ამ წელს 7 იურიდიულ პირზე იჯარით გაიცა 1118 კვ. მ. ფართი, რაც 80 კვ.მ-ით მეტია წინა წელთან შედარებით.

---

[1] დარღვეულია“სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების” დამტკიცების თაობაზე საქ. ეკონომოკური განვითარების მინისტრის 2007წ. 7.06 №1-1/875 ბრძ-ით დამტკ. დებულების მე-5 მუხ. მე-2 პ. მოთხოვნა

[2] დარღვეულია სახ. შესყიდვების შესახებ დებულების მუხ.25-ის მე-3 პუნქტის მოთხოვნა.

ქონების იჯარით გაცემისას არსებული ზემოაღნიშნული დარღვევების გამო საბჭოს ყოფილი დირექტორი დ. ჭიჭინაძე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, საქართველოს კონტროლის პალატის 2010 წლის 8 აპრილის № 9/00 აუდიტის აქტის საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის დაწყების დღეს საბჭოს ტერიტორიაზე ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაკავებული ჰქონდათ ფართები (მაგრამ არ ფუნქციონირებდნენ), შემდეგ ინდივიდუალურ მეწარმეებს: „მეჰმედ აიდინი", „ზაზა გულიაშვილი", „ბაკურ მახარაძე", „გოჩა ხვინგია" და „თ. დეისაძე". მხოლოდ ერთი შპს „ბიობლოკი" განაგრძობდა ფუნქციონირებას.

აუდიტის მსვლელობისას 2010 წლის 10 ივნისს სააგენტოს 33-2659/6-10 წერილით მიღებულია თანხმობა ძირითადი აქტივების 2 წლით იჯარით გაცემის თაობაზე.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დარღვევები შემოსავლების აღრიცხვიანობის საქმეში. შემოსავლების აღრიცხვა 2008 წლის 1 იანვრიდან 1 ოქტომბრამდე ხდებოდა მხოლოდ სალაროს შემოსავლის ორდერებით, ხოლო 2008 წლის 1 ოქტომბრიდან დაემატა სალაროს ჩეკები (სალარო-აპარატი საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულია 2008 წ. 25 სექტემბერს). სალაროს ჩეკები წარმოდგენილია არასრულყოფილად, ანუ შ/ო-ს ზოგჯერ არ ახლავს ჩეკი, ხოლო ზოგ შემთხვევაში ჩეკის თარიღი არ ემთხვევა შემოსავლის ორდერის თარიღს, კერძოდ: 2008წ. 30 სექტემბრის შ/ო-ს ერთვის 2008წ. 5 ოქტომბრის ჩეკი, 2008წ. 2 ოქტომრის შ/ო-ს - 2008წ. 15 ნოემბრის ჩეკი, 2009წ. 5 მაისის შ/ო-ს ერთვის 2009წ. 2 ივნისის ჩეკი და სხვა.

წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტაციის აუდიტით გაირკვა, რომ საბჭოს მიერ შემოსავლების აღრიცხვა ხორციელდებოდა არა დარიცხვის, არამედ საკასო მეთოდით, ანუ შემოსავლად აღიარდებოდა მხოლოდ ფაქტობრივად შემოსული თანხები.[3]

ასე მაგალითად: ი.მ. „მეჰმედ აიდინი"-ს (როგორც ზემოთ ავღნიშნეთ) იჯარით აღებული აქვს ფართი 2008 წლის 1 აპრილიდან. ამავე წლის აპრილ-აგვისტოს თვეებში მას ყოველთვიურად გადახდილი აქვს 1470-1470 ლარი, ხოლო 2008 წლის

[3] დარღვეულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა.

სექტემბრიდან 2009 წლის თებერვლამდე პერიოდში თანხის გადახდა და შემოსავლის მიღება (აღიარება) აღარ ფიქსირდება, 2009 წლის თებერვალში თანხა გადახდილია, მომდევნო თვეში ისევ არ ფიქსირდება თანხის გადახდა და შესაბამისად არც შემოსავლად არის აღიარებული. ანალოგიური ფაქტები გვხვდება სხვა მოიჯარეების შემთხვევაშიც.

ი.მ. „გ. ხვინგია"-ს 2008 წლის აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით გადახდილი აქვს ყოველთვიურად 260 ლარი, 2008წ. ნოემბერში გადაიხადა 150 ლარი, ანუ 110 ლარით ნაკლები (შემოსავლად ნაცვლად 260 ლარისა აღიარებულია 150 ლარი). 2008 წლის დეკემბრიდან 2009 წლის აპრილის ჩათვლით იჯარა აღარ გადაუხდია და შესაბამისად არც შემოსავალი არ უღიარებია, ხოლო 2009 წლის მაისიდან იხდის 200 ლარს (საიჯარო ხელშეკრულება არ გაფორმებულა) და შემოსავალშიც 200 ლარია აღიარებული. გარდა ამისა ამავე წლის ივლისსა და დეკემბერში საერთოდ არ გადაუხდია. ასევე არ ფიქსირდება იჯარის გადახდა შპს „ბიობლოკი"-ს მიერ 2009 წლის ივლისიდან დეკემბის ჩათვლით და არც შემოსავალში არ არის აღიარებული შესაბამისი თანხები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ (ვინაიდან ძირითადად არ არსებობს ხელშეკრულებები, რის გამოც უცნობია იჯარების დაწყება-დამთავრების ზუსტი თარიღები) დარიცხვის მეთოდით გაანგარიშებული და დანართის სახით წარმოდგენილია ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც დამატებით შეიძლება დაერიცხოს საბჭოს. აღნიშნული თანხა სავარაუდოდ შეადგენს: 2008 წელს-8075 ლარს და 2009 წელს - 10495 ლარს. ჯამში - 18570 ლარს.

ვინაიდან ვერ მოიძებნა სალაროს 2009 წლის ბოლო (დეკემბრის) ჩეკი, ხოლო სალაროს წიგნის ჩანაწერით 2010 წელს საბჭოს შემოსავალი არ მიუღია, ჩვენს მიერ 2010 წლის 27 მაისს აღებულია სალაროს ჩეკი (განულებით), რომლის მიხედვით 2008 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე სალაროთი დაფიქსირებული შემოსავალი შეადგენს 22141 ლარს.

2008 წელს საბჭოზე დამატებით დასარიცხი შემოსავალის თანხის გაანგარიშების ცხრილი

№	ორგან-ის დასახე-ლება	იანვა-რი	თებ-ერვა-ლი	მარტი	აპრი-ლი	მაი-სი	ივნ-ისი	ივლ-ისი	აგვი-ს-ტო	სექ-ტ-რი	ოქ-ტომ-ბერ-ი	ნოემ-ბერ-ი	დეკ-ემბე-რი	ჯამი	დამატებით ბუღალტ-რულად დასარიც-ხი შემოსავა-ლი
1	ი/მ „გ. ხვინგია“	--	--	--	260	260	260	260	260	260	260	150*	*	1970	370
2	ი/მ „ბ. მახარაძე“	--	--	--	--	--	--	--	--	--	818	820	820	2458	------
3	ი/მ „მეჰმედ აიდინი“	--	--	--	1470	1470	1470	1470	1470	*	*	*	*	7350	5880
4	შპს „ბიო-ბლოკი“	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	250	*	250	250
5	ი/მ „ი. წიქარიძე“	--	--	--	--	--	--	--	--	--	300	--	--	300	600
6	ი/მ“ზ.გუ ლიაშვილ ი“	--	--	--	--	--	--	--	--	325	*	*	*	325	975
7	ჯამი				1730	1730	1730	1730	1730	585	1378	1220	820	12653	8075

2009 წელს საბჭოზე დამატებით დასარიცხი შემოსავალის თანხის გაანგარიშების ცხრილი

№	ორგან-ის დასახე-ლება	იანვა-რი	თებ-ერვა-ლი	მარტი	აპრი-ლი	მაი-სი	ივნი-სი	ივლი-სი	აგვის-ტო	სექტ-რი	ოქ-ტომ-ბერი	ნოემ-ბერი	დეკ-ემბე-რი	ჯამი	დამატებით ბუღალტ-რულად დასარიცხი შემოსავალი
1	ი/მ „გ. ხვინგია“	--	--	--	--	200	200	*	200	200	200	200	*	1200	400
2	ი/მ „ბ. მახარაძე“	820	820	400	400	400	400	400	400	400	400	400	400	5640	---
3	ი/მ „მეჰმედ აიდინი“	*	1470	*	1470	1470	1360	1470	1470	1470	1470	1470	*	13120	4520
4	შპს „ბიობლოკი“	*	250	250	250	*	*	*	*	*	*	*	*	750	2250
5	ი/მ „ი. წიქარიძე“	300	300	300	--	--	--	--	--	--	--	--	--	900	---
6	ი.მ “თ დეისაძე“	--	--	--	210	210	210	210	*	*	*	*	*	840	1050
7	ი/მ „ზ. გული-აშვილი“	*	*	*	*	*	*	*	325	325	325	325	325	1625	2275
8	ჯამი	1120	2840	950	2330	2280	2170	2080	2395	2395	2395	2395	725	24075	10495

შენიშვნა * – ამ თვეებში დამატებით ერიცხებათ შემოსავალი

2008-2009 წლებში საბჭოს მიერ მიღებულ შემოსავლებს გრაფიკულად შემდეგი სახე აქვს:

2008 წელი



2009 წელი



ამავე პერიოდში შემოსავალი შ/ო-ით განისაზღვრა 36728 ლარის ოდენობით, რაც 14587 ლარით აღემატება სალაროს მაჩვენებელს, ხოლო სალარო-აპარატის ექსპლუატაციაში შესვლის თარიღის (2008წ. 1 ოქტომბერი) გათვალისწინებით ეს სხვაობა შეადგენს 5352 ლარს.

რეკომენდაცია:

1. მომავალში საბჭომ:

ა) შემოსავლების აღრიცხვა აწარმოოს დარიცხვის მეთოდით.

ბ) საიჯარო ხელშეკრულების გაფორმებისას გაითვალისწინოს საიჯარო ქირის წინასწარი გადახდის მექანიზმი.

2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ სააგენტომ განიხილოს საბჭოს არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი, რისთვისაც ამ უკანასკნელმა შეიმუშავოს და წარუდგინოს სააგენტოს ტექნიკურ-ეკონომიკურად დასაბუთებული წინადადებები.

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სააგენტომ აღმოუჩინოს ქმედითი დახმარება, რათა მომავალში საბჭომ შეძლოს თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში მეფუტკრეობის დარგის აღორძინებას.

წინააღმდეგ შემთხვევაში სააგენტომ განახორციელოს სტრუქტურის შემდგომი ოპტიმიზაცია.

3. გაწეული ხარჯების მოქმედ სტანდარტებთან და ნორმატივებთან შესაბამისობის დადგენა;

ხარჯები, ისევე როგორც შემოსავლები, საკასო მეთოდით არის გაანგარიშებული.

აუდიტის პერიოდში საბჭო კომუნალური გადასახადებიდან იხდიდა მხოლოდ დენის გადასახადს. 2009წელს გაფორმებული სამივე საიჯარო ხელშეკრულების თანახმად მოიჯარის მიერ დახარჯული დენის გადასახადი უნდა გადაეხადათ თვითონ მოიჯარეებს. ფაქტობრივად ეს თანხები აუდიტის მთელ პერიოდში,

გადახდილია საბჭოს კუთვნილი თანხებიდან, რითაც ხელოვნურადაა გაზრდილი მისი ხარჯები.[4]

საბჭოს მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით, ხარჯები დიაგრამის სახით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2008 წელი



2009 წელი



საბჭოს არ აქვს დამტკიცებული საშტატო განრიგი. ასევე არ აქვს თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები. წარმოდგენილი

[4] დარღვეულია საიჯარო ხელშეკრულებების მე-4 მუხლის მოთხოვნა

ხელფასის უწყისების მიხედვით, თანამშრომელთა ხელფასის განაკვეთები, ხშირად იცვლებოდა (იზრდებოდა ან მცირდებოდა), ამასთან არ არსებობს დირექტორის ბრძანებები საშტატო განრიგის ცვლილებების შესახებ.[5]

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს ბრძანებებში დირექტორების დანიშვნა-განთავისუფლების შესახებ არაა მითითებული აღნიშნული ბრძანებების ძალაში შესვლის კონკრეტული თარიღები, ამიტომ უცნობია დირექტორების სამუშაოზე მიღება-გათავისუფლების ზუსტი თარიღები. (დირექტორის სიტყვიერი განმარტებით სააგენტოს ბრძანების ძალაში შესვლის თარიღად ითვლება მისი გამოცემის თარიღი).

2008-2009 წლებში დარიცხული და გაცემული ხელფასები გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



[5] (საბჭოს წესდების მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის თანახმად სააგენტო ამტკიცებს მხოლოდ საბჭოს დირექტორის ხელფასს)

2009 წელი



აუდიტის პერიოდში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კერძო აუდიტორების მიერ ექსპლუატაციისათვის უვარგისი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და საწესდებო კაპიტალის შეფასების მიზნით, ჩატარებულია 2 აუდიტორული მომსახურეობა, რომელთა დროსაც საბჭოს მიერ შპს „აუდიტესკორტისათვის" გადახდილია 200 ლარი, ხოლო შპს „თ.ჯ. ბეგა-აუდიტისათვის თანხა არაა გადახდილი და ვერც ხელშეკრულება იქნა მოძებნილი".

რეკომენდაცია:

1. ხარჯების აღრიცხვა აწარმოოს დარიცხვის მეთოდით

2. არ დაუშვას კომუნალური გადასახადების გადახდა საბჭოს კუთვნილი შემოსავლებიდან, რისთვისაც უზრუნველყოს მოიჯარეების კუთვნილი

გადასახადების მკაცრი აღრიცხვა და ყველა საიჯარო ობიექტზე ინდივიდუალური დენისა და წყლის მრიცხველების დამონტაჟება.

3. საბჭოს დირექტორმა დაამტკიცოს საშტატო განრიგი.

4. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვის მდგომარეობა;

საბჭოს მიერ ხელფასებზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადი ბიუჯეტში არ ირიცხებოდა, რის გამოც ბიუჯეტის კრედიტორულმა დავალიანებამ მარტო ამ გადასახადში 2008-2009 წლებში შეადგინა 5152.5 ლარი.

2008 წლის ბოლოს საბჭოს ერიცხებოდა 43510 ლარის დებიტორული დავალიანება, მათ შორის: მოთხოვნები მიწოდებიდან 17980 ლარი; მოთხოვნები მეკავშირე საწარმოების მიმართ 13670 ლარი; მოთხოვნები საწარმოო პერსონალის მიმართ 3896 ლარი და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები 7964 ლარი.

2008 წელს კრედიტორული დავალიანება შეადგენდა 33223 ლარს, მათ შორის: საგადასახადო ვალდებულებები სულ-21167 ლარი, სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 5907 ლარი და გადასახდელი ხელფასები 6149 ლარი.

წარმოდგენილი 2009 წლის ბალანსით საბჭოზე რიცხული დებიტორული დავალიანება, 2008 წელთან შედარებით, არ შეცვლილა და ნაჩვენებია სულ-43510ლ.

ამავე დროს 2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბჭოს კრედიტორული დავალიანება გაზრდილია წინა წელთან შედარებით: გადასახდელ ხელფასებში-9400 ლარით, საშემოსავლო გადასახადში-2877ლარით, და სხვა საგადასახადო ვალდებულებებში - 22170 ლარით.

2009 წელს სხვა საგადასახადო ვალდებულებების მკვეთრი ზრდა გამოწვეულია წინა წლებში მიწისა (12344ლ) და ქონების (9726ლ) გადასახადების დაურიცხაობის გამო, რაც 2009 წელს იქნა გამოსწორებული.

გარდა ამისა ბიუჯეტის სასარგებლოდ საბჭოს დაერიცხა გადასახადი 5000 ლარი ელენერგიის არასწორი აღრიცხვისათვის და 100 ლარი საგადასახადო დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისათვის.

მიგვაჩნია, რომ დარიცხვის მეთოდით შემოსავლებისა და ხარჯების გადაანგარიშების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვლება დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების თანხები, კერძოდ: დებიტორებში გაიზრდება

„მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან " (1410 ბუღალტრული ანგარიში), ხოლო კრედიტორებში გაიზრდება საშემოსავლო გადასახადის თანხები (3320 ბუღალტრული ანგარიში).

ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების გამო შემოსავლების სამსახურის ქ. თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ 2009წ 25 ნოემბრის № 14/04-5526 ბრძანებით საბჭოს ქონებას დაედო ყადაღა.

საბჭოს ყოფილი დირექტორის დ. ჭიჭინაძის განმარტებით დებიტორული დავალიანების ძირითადი ნაწილი მოდის 2002 წლიდან, როდესაც შეიქმნა საბჭო და რომლის დროსაც მასზე შეცდომით გადმოვიდა სხვა, უკვე გაუქმებული 9 ორგანიზაციის დავალიანება. აღნიშნულის გამო დებიტორული დავალიანების გაშიფვრა ამჟამად ვეღარ ხერხდება.

რეკომენდაცია:

1. დასახოს კონკრეტული ღონისძიებები ბიუჯეტის დავალიანებების თანდათანობით დაფარვისათვის.

5. გრძელვადიანი აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღების, აღრიცხვისა და განკარგვის მდგომარეობა;

ქ. თბილისში, ავჭალის გზატკეცილი № 43-ში, მდებარე 15 ერთეული შენობიდან ერთი დანგრეულია, ხოლო დანარჩენი მწვავე ავარიულ მდგომარეობაშია.

2002 წლიდან საბჭო აღარ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციას, რის შედეგადაც მანქანა-დანადგარები დარჩა უფუნქციოდ და დროთა განმავლობაში გაიძარცვა (რასაც ადასტურებს 2008 წელს გადაღებული ფოტოებიც).

აღნიშნულის გამო 2009 წლის ივლისში საბჭომ ჩამოწერა და ბალანსიდან მოხსნა 30 ერთეული ძირითადი აქტივი, (ჯამური საბანსო ღირებულებით 6896ლ: ნარჩენი ღირებულებით 1498ლ), მათ შორის ჩამოწერის დოკუმენტაცია (ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის აქტები; აუდიტის მიერ შედგენილი ჩამოსაწერი ღირებულების დადგენის აქტები № 01-17/12.08) აუდიტის ჯგუფისათვის წარმოდგენილია მხოლოდ 22 ერთეულზე (საწყისი ფასი-5630ლ, ნარჩენი-1232ლ.). წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, ჯართის სახით რეალიზებულია მხოლოდ 16 ერთეული. ამგვარად ბალანსიდან მოხსნილი 30 ერთეული ძირითადი აქტივიდან

ჯართში არ ჩაბარებულა და შესაბამისად არაა რეალიზებული სულ 14 ერთეული, საიდანაც ინვენტარიზაციის დროს ადგილზე აღმოჩნდა მხოლოდ 4 ერთეული, კერძოდ: კომბინირებული ცირკული ხერხის და ქანქარა ხერხის დაზგები (რომლებზედაც არაა წარმოდგენილი ჩამოსაწერი ღირებულების დადგენისა და სალიკვიდაციო აქტები), აგრეთვე სახვრეტი და სარანდი დაზგები (რომლებზეც არსებობს ჩამოსაწერი ღირებულების დადგენისა და სალიკვიდაციო აქტები), ამჟამად ინახება საბჭოს ტერიტორიაზე არსებულ №2 სადურგლო საამქროში.

ამავე დროს ჯართის რეალიზაცია არ განხორციელებულა კონკურსის/აუქციონის წესით.[6]

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აბსოლუტურად უკონტროლოდაა მიტოვებული რაიონებში არსებული ძირითადი აქტივები.

2008-2009 წლებში საბჭოს მიერ ძირითადი აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. ყოფილი დირექტორის დ. ჭიჭინაძის წერილობითი ახსნა-განმარტებით ინვენტარიზაციები და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება 2004 წლიდან საერთოდ არ განხორციელებულა.

აუდიტის დაწყებისთანავე დირექტორს მიეცა მითითება ინვენტარიზაციის ჩატარებაზე, რაც განხორციელდა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, ამასთან სათაო ოფისში ჩატარდა ჩვენი მონაწილეობით, ხოლო რაიონებში (ვინაიდან არ გვქონდა მონაწილეობის საშუალება) ინვენტარიზაცია ჩაატარა სამეურნეო მენეჯერმა ჯ. გოგოხიამ.

ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩნდა შემდეგი ძირითადი აქტივების დანაკლისი: სათაო ოფისში: ფინური სახლი საწყისი ღირებულებით 755ლ; კონდიცონერი-96ლ; ა/მ „გაზ-53“ (სახ №ГРЕ 7701)-562ლ, ა/ცისტერნა (სახ № უცნობია)-632ლ ა/მ „კრაზ-256“(სახ № უცნობია)-1408ლ; ა/მ „ზილ-133” (სახ № უცნობია)-1918ლ. ა/მ „ზილ-130“ სახ № PAA 154)-957ლ, ა/მ „გაზ 5201” (სახ №COD 412)-419ლ, ავტობუსი „კავზ-3270“ (სახ № უცნობია)--1037ლ, ცისტერნა-

---

[6] დარღვეულია“სახელმწიფოს 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვისა და გადაცემის წესის შესახებ დებულების” დამტკიცების თაობაზე საქ. ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007წ. 7.06 №1-1/875 ბრძ-ის. მე-7 მუხ. მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

რეზერვუარი-141ლ, მარტივი ტიპის ბენზინ-გასამართი მოწყობილობა-41ლ, სახერხი დაზგის ლიანდაგი-183ლ და თბოგაყვანილობა -1129 ლ.

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურში ადგილზე არ აღმოჩნდა საფუტკრე სახლი 2 ერთეული (100ლ და 84ლ), ა/მ „იჟ-2715" (სახ № LAL-257)-321ლ, ა/მ „გაზ-53" (სახ № ГАР 3535) - 368ლ. სამეურნეო მენეჯერის ჯ. გოგოხიას განმარტებით და სოფელ მუხურის მაცხოვრებლის (ყოფილი მძღოლის) ლ. თოლორდავას წერილობითი ახსნა-განმარტებით, ამ უკანასკნელის მიერ, აღნიშნული ა/მანქანა, რომელიც ინახებოდა მის კუთვნილ ეზოში, 2009 წლის 17 მარტს მის მიერ ჩაბარებულია ჯართში, რაზედაც წარმოდგენილია 420 ლარის გაცემის დამადასტურებელი სალაროს ქვითარი № 177. ლ. თოლორდავას განმარტებით თანხა ინახება მასთან.

2009 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბჭოს ბალანსზე ირიცხებოდა სულ 110046 ლარის ღირებულების სასაქონლო-მატერიალური მარაგები, მათ შორის: ნედლეული და მასალები 18930 ლარი; დაუმთავრებელი წარმოება 23400 ლარი; მზა პროდუქცია 1427 ლარი; სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები 12429 ლარი; წინასწარ გაწეული ხარჯი 15270 ლარი და სხვა მიმდინარე აქტივები 38590 ლარი.

ინვენტარიზაციის დროს აღნიშნული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფიზიკურად არ აღმოჩნდა ადგილზე. ასევე ვერ იქნა წარმოდგენილი ვერც მარაგების ინდივიდუალური აღრიცხვის ბარათები და ვერც მათი მოძრაობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მარაგები ფიზიკურად აღარ არსებობს.

რეკომენდაცია:

1. საბჭომ დააზუსტოს სახეზე არსებული ძირითადი აქტივების (მათ შორის ზაჰესში არსებული 3060 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის) ღირებულებები, რის შემდეგაც შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები საბალანსო მონაცემებში.

2. სააგენტომ საბჭოსთან ერთად შეისწავლოს გრძელვადიანი (ძირითადი) აქტივებისა და სასაქონლო მატერიალური მარაგების დანაკლისების გამომწვევი

მიზეზები და დაადგინოს დამნაშავე პირები მათ მიერ დანაკლისების ანაზღაურების მიზნით, არსებული კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. საბჭომ გადაწყვიტოს რაიონებში არსებული ქონების დაცვა-შენახვის საკითხი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოძრავი აქტივები გადმოიტანოს ქ. თბილისში სათაო ოფისის ტერიტორიაზე.

4. ჩამოსაწერი ძირითადი აქტივები და სასაქონლო-მატერიალური მარაგები საბჭომ ჩამოწეროს ბალანსიდან არსებული კანონმდებლობის დაცვით.

5. ბალანსიდან უკვე ჩამოწერილი, მაგრამ ადგილზე არსებული ძირითადი საშუალებები ჩაბარებული იქნას ჯართში არსებული წესების დაცვით, ხოლო ბალანსიდან მოხსნილი და ადგილზე არსებული ძირითადი საშუალებები, რომლებზედაც არ არსებობს ჩამოწერის დოკუმენტაცია, აღდგენილი იქნას საბჭოს ბალანსზე.

6. ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან;

2008 და 2009 წლების ბიზნეს-გეგმებში საბჭოს მიერ გათვალისწინებულია 106000 ლარის ოდენობით შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, რაც არარეალურად მიგვაჩნია, ვინაიდან ჯერ ერთი მარტო შენობების იჯარით გაცემა არსებულ პირობებში იძლევა მაქსიმუმ 40000 ლარამდე შემოსავლის მიღების საშუალებას, მეორეც-გეგმებს არ ახლავს შესაბამისი გაანგარიშებები და ახსნა-განმარტება, საიდანაც გასაგები გახდებოდა დანარჩენი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა.

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე უტყუარი და სამართლიანი წარმოდგენის შესაქმნელად ბასს-ი ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის შედგენას, რაც ბალანსის, მოგება-ზარალის და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისის გარდა მოიცავს კიდევ კაპიტალში ცვლილებების უწყისს და ბალანსთან თანდართულ ახსნა-განმარტებით ბარათს. ეს ორი უკანასკნელი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი საბჭოს მიერ.

2008 წელი საბჭომ დაასრულა 18461 ლარის ზარალით, ხოლო 2009 წელი - 28014 ლარის ზარალით.

წინამდებარე აქტის მეოთხე თავში აღნიშნული, ბალანსში არსებული, შეცდომების გარდა ფინანსურ ანგარიშგებაში კიდევ გამოვლინდა ზოგიერთი უზუსტობა, კერძოდ: 2008 წელს საშემოსავლო გადასახადი წლის ბოლოს შეადგენდა 3298 ლარს, ნაცვლად ბალანსში ნაჩვენები 3158 ლარისა, ხოლო 2009 წელს - 6158 ლარი, ნაცვლად 6029 ლარისა.

2009 წელს მოგება-ზარალის უწყისში ნაჩვენებია ელექტროენერგიის დარიცხული ხარჯები 3130ლ, ხოლო ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისში ნაჩვენებია ფაქტობრივად გადახდილი 2730ლ. ამ შემთხვევაში ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან (3110 ანგარიშზე) უნდა გაზრდილიყო 400 ლარით, მაგრამ ბალანსში ამ ანგარიშზე ნაშთი წლის ბოლოსათვის ნულის ტოლია.

რეკომენდაცია:

1. მოიყვანოს ბუღალტერია ბასს-თან სრულ შესაბამისობაში და აქტში გამოთქმული შენიშვნები გაითვლისწინოს მომავალში საფინანსო ანგარიშგების შედგენისას.

7. შესწავლილი იქნას საწარმოს წილობრივი მონაწილეობით შვილობილი საწარმოს (იურიდიული პირის) შექმნის სამართლებრივი საფუძვლები.

საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა: შ.პ.ს „მეფუტკრეობის მარეგულირებელი საბჭოს“ მიერ 2009წ. 29 აპრილს დაარსებული იქნა შ.პ.ს „ქართული ფუტკარი“ 100%—იანი მფლობელობის წილით, რომლის იურიდიული მისამართია: ავჭალის გზატკეცილი №43.

საქმეში არის საწარმოს წერილობითი თხოვნა აღნიშნული ორგანიზაციის შექმნის შესახებ და სააგენტოს შესაბამისი თანხმობა.

განვლილ პერიოდში საბჭოს მიერ არ მომხდარა შვილობილ საწარმოზე აქტივების გადაცემა. შ.პ.ს „ქართული ფუტკარი“-ს დირექტორის ნოდარ ბახტაძის ახსნა-განმარტებითი ბარათისა და მის მიერ საგადასახადო

ინსპექციიდან წარმოდგენილი შედარების აქტის მიხედვით შ.პ.ს „ქართულ ფუტკარს“ დაარსების დღიდან ეკონომიკური საქმიანობა არ უწარმოებია.

აღსანიშნავია, რომ შვილობილ საწარმოს საქმიანობის ძირითად მიმართულებებად განესაზღვრა იგივე, რაც აქვს საბჭოს, რომელიც თავად არის დარჩენილი უფუნქციოდ.

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

"საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ კონტროლის პალატაში, ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი №96, ასევე სასამართლოში - კანონით დადგენილი წესით.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის
(ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი)
უფროსი აუდიტორი
ჯგუფის ხელმძღვანელი

თენგიზ ბაზაძე — 20.10.2010 წ.
ხელმოწერა — თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი
შალვა ჯავახიშვილი — 20.10.2010 წ.
ხელმოწერა — თარიღი